ხელშეკრულება №17

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელი ქვეში. 26 სექტემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლელა ბიბილურის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. ქეთევან შატაკიშვილი (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან შატაკიშვილის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საჯარო სკოლო აბრის (CPV-44423460) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 120 (ასოცი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10(ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად შემსყიდველის მისამართზე (გორის რაიონი,სოფელი ქვეში-სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა)

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები

განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე, 2016 წლის 26 სექტემბერს და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა ს/კ 218047101 მის: გორის რაიონი, სოფელი ქვეში ტელ: 577 922 532	ი.მ ქეთევან შატაკიშვილი ს/კ 59001082451 მის.: ქ.გორი ცხინვალის გზატკეცილი15ბ ოთ.42 ტელ.: 595 19 09 50
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE40LB0121183946314000	საბანკო რეკვიზიტები: ს/ს პროკრედიტ ბანკი გორის ფილიალი ბანკის კოდი: ა/ა GE02 PC01 4360 0100 0295 69
დირექტორი ლელა ბიბილური (ხელმოწერა) მ.ა	დირექტორი: ქეთევან შატაკიშვილი (ხელმოწერა) მ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

N	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	სასკოლო აბრა	ცალი	ერთი	120	120
				სულ:	120

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ
ქვეშის საჯარო
სკოლის დირექტორი /ლბიბილური./

ი.მ ქეთევან შატაკიშვილი
დირექტორი /ქ.შატაკიშვილი/

მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეში. 28 სექტემბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ, ი.მ ქეთევან შატაკიშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი") და, მეორეს მხრივ, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), ვთანმხდებით მასზედ, რომ „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" გაუწია 2016 წლის 26 სექტემბრის №17ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, კერძოდ, მიაწოდა 1 (ერთი) ცალი სასკოლო აბრა, რომლის ღირებულება შეადგენს 120 (ასოცი) ლარს.

აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

აქტის ხელმოწერით ვადასტურებთ ხელისმოწერით:

„შემსყიდველი:

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის
სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა
დირექტორი: /ლ.ბიბილური/

„მიმწოდებელი:

ი.მ ქეთევან შატაკიშვილი
დირექტორი: /ქ.შატაკიშვილი/

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0264398507

2	28/09/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	21:42:19

დრო (საათი, წუთი)

4	ქეთევან შაჩაკიძვილი	59001082451

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელებაან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა	218047101

მყიდველის (მიმღების) დასახელებაან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	გორი ცხინვალის გზ 15ბ

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისამბული

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	აპრის დამზადება	001	ცალი	1.0000	120.0000	120.0000

13	120 - ას ოცი ლარი და ნული თეთრი

ზიწოდებული საქონლის მიღებული თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	28/09/2016	21:42:19

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი)

19

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზიერ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 29/09/2016, 13:23:30